

გრეგოლ რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

ირინე როყვა

IRINE ROKVA

სასამართლო ხელმისაწვდომობა – სამოქალაქო საპროცესო უფლება
და მისი შეზღუდვის დასაშვები ფარგლები

Access to the Court: Civil Procedure Right and The Framework of Its
Limitation

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი
Educational programme: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2023

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირინე როყვა

სასამართლო ხელმისაწვდომობა – სამოქალაქო საპროცესო
უფლება და მისი შეზღუდვის დასაშვები ფარგლები

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2023

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ვალერიან ხრუსტალი,
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება უნივერსიტეტის
ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საატესტაციო-საექსპერტო
კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. თბილისი, ირინა
ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ)

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----	2
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის თეორიული და პრაქტიკული კონტექსტი -----	7
მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და შედეგები -----	11
განსჯა, მეცნიერული სიახლე -----	11
რეკომენდაციები და დასკვნა -----	22

შესავალი

თემის აქტუალობა – სასამართლო წესით პირის კანონიერი ინტერესების დაცვა ადამიანის ერთ-ერთი კონსტიტუციური და ფუნდამენტური უფლებათაგანია.

სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა დასაშვებია მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც ყოველ მსურველ პირს ეძლევა შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად მიმართოს სასამართლოს, დაიცვას საკუთარი კანონიერი ინტერესები, კანონით დადგენილ ფარგლებში გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება თუ განჩინება და, ამავდროულად, არ იყოს შეზღუდული გაუმართლებელი, უსამართლო პროცედურებით. ამდენად, საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცევა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების პრაქტიკულად განხორციელებისა და მისი ლეგიტიმურად შემოქმედილი სამართლებრივი მექანიზმების მართებულობის შესწავლის საჭიროება.

მოცემული კვლევა შეეხება სასამართლო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში.

ყურადღებას იმსახურებს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების ფორმირება და მისი ევოლუცია სხვადასხვა ქვეყნებსა და ეპოქებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების კანონისმიერი შეზღუდვის პროცედურების შესწავლა.

აღნიშნული საკითხის აქტუალობა განპირობებულია სასამართლოს იმ განჩინებების რიცხვითაც, რომელთა მეშვეობით განუხილველად დარჩა ამა თუ იმ მხარის პრეტენზია, იქნება ეს სააპელაციო, საკასაციო თუ კერძო საჩივრები.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის კანონისმიერი

მექანიზმები მნიშვნელოვანი და აქტუალურია არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ ეხმიანება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მოსახლეობის ფინანსურ შესაძლებლობას, დაფაროს სასამართლო ხარჯები, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, უზრუნველყოს საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვა კვალიფიციური ადვოკატის დახმარებით და ა.შ.

ნაშრომის მიზანია – სამოქალაქო საპროცესო სამართლის, კანონმდებლობისა და დოქტრინის შესწავლის გზით სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელებისა და აღნიშნული უფლების რეალიზების შემზღვევად კანონისმიერ პროცედურებში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა, მათი აღმოფხვრა და პრობლემური საკითხების გადაწყვეტა იმგვარად, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი.

კვლევის ამოცანაა – სასამართლო ხელმისაწვდომობის, როგორც სამოქალაქო საპროცესო უფლების იურიდიული ბუნების ანალიზი, სასამართლო ხელმისაწვდომობის შემზღვევად სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობების კლასიფიკაცია გამოსაკვლევი უფლების დროებით და სამუდამოდ შემზღვევად მექანიზმებად. მითითებული სახით კლასიფიცირების შედეგად კი, – თითოეული საკითხის მეცნიერულ-პრაქტიკული ასპექტების დამუშავება.

გამოსაკვლევი საკითხის სწორად შეფასებისათვის საჭიროა თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში სასამართლო ხელმისაწვდომობის ხარისხის შეფასება, რა დროსაც კანონის დანაწესებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება.

ჰიპოთეზა – სასამართლოსათვის მიმართვის უფლების პირველადად გაცნობისას წარმოიშვა ვარაუდი, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლოსადმი მიმართვის მექანიზმები არ არის სრულყოფილი

და, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების ლეგიტიმური შეზღუდვა გაუმართლებელი იყოს. აღნიშნული კუთხით ყურადღება მიიპყრო სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებულმა სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის წესმა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრისას პრაქტიკაში წარმოქმნილმა პრობლემებმა, მხარის მიერ კანონით დადგენილი საპროცესო ვადის გაშვების შეუქცევადმა სამართლებრივმა შედეგებმა, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, მხარის ყოველგვარი პრეტენზიის განუხილველად დატოვებამ, როგორც პირისათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მექანიზმმა, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებმა.

შესაბამისად, წარმოიშვა ვარაუდი, რომ არსებობდა საკანონმდებლო ცვლილებების შეტანის საჭიროება, გამოსაკვლევ კაკითხებისადმი ახლებურად მიდგომის აუცილებლობა, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური – შეჯიბრებითობის პრინციპის პრაქტიკულად მეტისმეტად ფართოდ რეალიზების ფარგლების გადახედვა და, არსებული ჰიპოთეზის დადასტურების შემთხვევაში, მისი განხორციელების გარკვეულწილად შეზღუდვის გზების ძიება.

წარმოდგენილი კვლევის შედეგად გამოვლენილი მეცნიერული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ დოქტრინაში დასამკვიდრებლად ჩამოყალიბდა თეორია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის გონივრული შეზღუდვის შესახებ. მოცემულ ნაშრომში, სამართლებრივი მახასიათებლების მიხედვით, ერთმანეთს გაემიჯნა სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის დროებითი და სამუდამო მექანიზმები.

სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის მეტად მნიშვნელოვანია დოქტრინაში ახალი პრინციპის დამკვიდრება, რომელიც შეეხება სასამართლო პრაქტიკაში აქტუალურ, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საპროცესო ვადის განსაზღვრის წესს.

აღნიშნული კუთხით შეთავაზებულ იქნა საპროცესო ვადის განსაზღვრისადმი ერთიანი მიდგომის პრინციპის თეორიაში დამკვიდრება. მითითებული პრინციპი გულისხმობს ყველა ვადის გამოთვლისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლებით გათვალისწინებული ერთიანი წესის გამოყენებას, რაც მაქსიმალურად გაამარტივებს მხარისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურის გაგებას, მის დაცვას და შეუწყობს ხელს მხარისათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზებას.

სიახლეა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველ პირთა კლასიფიკაცია გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და ზოგადად დავის საგნის მიმართ მათი კანონიერი ინტერესის მიხედვით. ასეთი პირები ჩამოყალიბდნენ ორ ჯგუფად: 1. პირები, რომელთა ინტერესებს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება; 2. პირები, რომელთანაც ასეთი გადაწყვეტილებით დადგენილი შედეგი დაცვის ღირს ინტერესს არ წარმოშობს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მინიჭებისას გადამწყვეტი უნდა იყოს, თუ რამდენად შეეხება გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება საჩივრის ავტორი პირის კანონიერ ინტერესებს. აღსანიშნავია, რომ მოცემული საკითხის მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობდა არც სასამართლო პრაქტიკაში და არც მეცნიერულ ლიტერატურაში.

პრაქტიკული რეკომენდაციების სახით შეთავაზებულ იქნა: სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის პროექტები; სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების მექანიზმის დახვეწის საშუალებები; საკანონმდებლო ცვლილებები სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებით; სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას მხარისათვის დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების პროცედურის გამარტივება; სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საპროცესო ვადების აღდგენის შესაძლებლობებისა და შესაბამისი პროცედურების დადგენა; გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირთა

წრეში ისეთი პირების მითითება, რომელთა კანონიერ უფლებებსაც უშუალოდ შეეხო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი; ამავდროულად, სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა ისეთი პირებისათვის, რომლებიც ბოროტად იყენებენ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას.

ამავდროულად, დადგინდა, რომ საკანონმდებლო ნორმებში ცვლილებების შეტანა ყოველთვის არ იძლევა პოზიტიურ შედეგს, რისი დასტურია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მართლმსაჯულების განხორციელების პირველი ეტაპის - სარჩელის რეგისტრაციის პროცედურაში შეტანილი ცვლილებები, რომლებსაც შედეგად მოჰყვა სამოქალაქო საქმეზე მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება. შესაბამისად, მიზანშეწონილია სარჩელის მიღების სადავო ცვლილებამდე არსებული პროცედურის აღდგენა, რათა არ მოხდეს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების მოსარჩელეთათვის გაუმართლებელი შეზღუდვა.

წარმოდგენილი კვლევით ჩამოყალიბდა ქართული სამართლებრივი რეალობისათვის სრულიად ინოვაციური პროცედურა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მხარეს, განსაკუთრებული გარემოებების არსებობის სარწმუნოდ დადასტურების პირობებში, მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილების/განჩინების გასაჩივრების კანონისმიერი, იმპერატიულად დადგენილი ვადის აღდგენა და სრულად ისარგებლოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით.

მოცემულ ნაშრომში განხილულ იქნა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების ფონზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის საკითხი და შეთავაზებულ იქნა აღნიშნული მექანიზმის დახვეწის გზები, რაც მეტად მოქნილს გახდის მითითებულ პროცედურას როგორც უშუალოდ მხარის, ისე სასამართლოსა და კანონმდებლისათვისაც.

ამდენად, დადასტურდა არსებული ჰიპოთეზა როგორც საკანონმდებლო სფეროში, ისე დოქტრინაში რიგი ცვლილებების განხორციელების საჭიროების შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის თეორიული და პრაქტიკული კონტექსტი

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ უფლებათა რიგს განეკუთვნება სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლით დადგენილი საქმის სამართლიანი განხილვა უპირობოდ მოიაზრებს მხარის უფლებას, დაუბრკოლებლად მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული ნორმის რეალიზება არაერთხელ მომხდარა ევროსასამართლოს მიერ, რაც ასახვას ჰპოვებს მის გადაწყვეტილებებში.

საყურადღებოა სამეცნიერო ლიტერატურაში ასახული მოსაზრება, რომ, მიუხედავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპისა, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის, საქართველოს და კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების კანონმდებლობა შეიცავს ასევე ნორმებს, რომლებიც ხაზს უსვამს ე. წ. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნების არსებობასაც.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოსამართლის აქტიურობაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის დანაწესი. იგი ეხება მოქმედებას, რომელსაც ასრულებს მოსამართლე მხარეთა მორიგების მიზნით. საყურადღებოა აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, მიუთითოს დავის

გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები.

სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები შეიძლება დაჯგუფდეს ორ ძირითად ტიპად – დროებით (გარკვეული ვადით) და უვადოდ ანუ სამუდამოდ შეზღუდვის სახეებად. განსახილველი უფლების დროებით შეზღუდვა ხასიათდება იმ პირისათვის ხელსაყრელი სამართლებრივი თავისებურებით, რომელსაც ეს უფლება ეზღუდება, კერძოდ, სასამართლო ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ფაქტორის აღმოფხვრის შემთხვევაში პირს კვლავ გააჩნია სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. სასამართლო ხელმისაწვდომობის დროებით შეზღუდვისაგან განსხვავებით, მხარისათვის მეტად სავალალო სამართლებრივი შედეგების მომტანია ასეთი შეზღუდვა სამუდამოდ, რა დროსაც საქმის წარმოება სრულდება მისი რაიმე სახით განახლების პერსპექტივის არსებობის გარეშე.

2012 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ცვლილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და 183-ე მუხლის საფუძველზე დამკვიდრდა რეგულაცია, რომლის თანახმად სარჩელის კანონთან ფორმალური შესაბამისობის საკითხს ამოწმებს არა სასამართლო, არამედ სასამართლო კანცელარიის კანონით დადგენილი მოხელე. მითითებული საკითხი საჭიროებს სამართლებრივ შეფასებას იმ ასპექტში, ხელყოფს თუ არა ხსენებული წესით სარჩელის განსახილველად დაშვებაზე მსჯელობა მხარის უფლებას სასამართლო ხელმისაწვდომობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლი თავდაპირველი რედაქციით ითვალისწინებდა, რომ მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის მიღების შესახებ. სარჩელი მიღებულად მიიჩნევა მისი მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო, თუ აღნიშნულ ვადაში განჩინება გამოტანილი არ იქნება, მაშინ – ამ ვადის გასვლის შემდეგ.

სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ლეგიტიმური შეზღუდვის დროებითი საშუალებაა მხარის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილ წერილობით პრეტენზიაზე ხარვეზის დადგენის ინსტიტუტი. აღნიშნული ერთნაირად მოქმედებს როგორც სარჩელზე, ისე საქმის განხილვის შემდგომ ეტაპზე შეტანილ პრეტენზიებზე - სააპელაციო, საკასაციო და კერძო საჩივრებზე, მხარის განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და სხვა.

მხარის პრეტენზიის განუხილველად დატოვების, როგორც სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის მექანიზმის შესწავლის აქტუალობას ადასტურებს ის სტატისტიკური მონაცემებიც, რომელიც მოცემული კვლევის აღწერისა და შედეგების ნაწილშია მითითებული და ცხადყოფს, რომ განუხილველად დატოვება არაერთი საქმის არსებითად განხილვის გვერდის ავლით დასრულების შედეგია.

დღის წესრიგში დგება იმ პირთა განსაზღვრა, რომელთა მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას კანონი უშვებს. კვლევისას განხილულ იქნა გერმანიის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის კუთხით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან შეფასდა შემდეგი განჩინებები: №ას-1235-1085-10 13.01.2011წ.; სუსგ ას-253-578-09 28.03.2009წ; ას-364-715-2007 16.07.2007წ. საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის პრეცედენტი საქმეზე ლოსტოი-მილოსლავსკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია საპროცესო ვადების ცნება და მათი მნიშვნელობა. კანონის მიერ დადგენილი ვადებიდან მოცემული კვლევის ფარგლებში ექცევა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის საკითხი. აღსანიშნავია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 397-ე და

416-ე მუხლებში განსაზღვრული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადები და მათი ათვლის წესი.

მოცემული კვლევისათვის მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვადების შესწავლა. სამეცნიერო ლიტერატურაში საპროცესო ვადებზე მსჯელობისას მოყვანილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმად სასამართლოს მიერ პროცედურული წესის, განსაკუთრებით კი გასაჩივრების უფლების გამოყენების ვადების განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა, ხელყოს სასამართლოსადმი წვდომის უფლება.

საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არსებულ რეალობაში მეტად მტკივნეულია სასამართლო ხარჯების პრობლემა, რომელიც მხარის სარჩელისა და ნებისმიერი საჩივრის დასაშვებობას უკავშირდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასახულია შემთხვევა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას სააპელაციო, საკასაციო თუ კერძო საჩივრის შეტანა ხდება არა იმისათვის, რომ მხარემ მიაღწიოს სამართლებრივ დაკმაყოფილებას, საკუთარი უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვას, არამედ სხვა არაკეთილსინდისიერი მიზნისათვის, როგორცაა, მაგალითად, საქმის განხილვის გაჭიანურება, მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ აღსრულების გადავადება და სხვა.

მეტად საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პრაქტიკული შემთხვევა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად და მართებულად ჩათვალა ამ მხარის მიმართ განსახილველ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით მინიჭებული უფლების შეზღუდვა. აღნიშნული კი იმაში გამოიხატება, რომ მხარის მიერ სასამართლოში მოცემულ დავაზე შეტანილი ნებისმიერი სახის კორესპონდენცია (განცხადება, საჩივარი) დარჩებოდა რეაგირების გარეშე.

მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და შედეგები

კვლევისას გამოყენებულ იქნა ე.წ. საყოველთაო მეთოდები, კერძოდ, უნივერსალური აზროვნების პრინციპებიდან – მეტაფიზიკური, დიალექტიკური კვლევის მეთოდი, ასევე, კონკრეტულ-ისტორიული, შედარებითი სამართლებრივი, დოკუმენტების კვლევის მეთოდი. კვლევის ჩატარება შეუძლებელია სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადების, ანალიზის გარეშე. მასასადამე, საჭირო გახდა კვლევის ემპირიული მეთოდის გამოყენება, რაც სრული პროცესის საკმაოდ მოცულობით ნაწილს იკავებს. კვლევისას გამოყენებულ იქნა დოკუმენტების შესწავლის, ლოგიკური ანალიზის და სტატისტიკური მეთოდები, რომლებიც ოპტიმალურ შედეგს იძლევა სასამართლო პრაქტიკასთან მუშაობისას.

შესაფასებელ საკითხებზე დასკვნის გამოსატანად შესწავლილ იქნა სამეცნიერო ლიტერატურა, გამოჩენილ და ავტორიტეტულ მეცნიერთა მოსაზრებები და განხორციელდა მიღებული ინფორმაციის ანალიზი.

განსჯა, მეცნიერული სიახლე

მხარეთათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სამოქალაქო სამართალწარმოებაში სასამართლოს ჩართულობის მაღალი ხარისხით მიიღწევა, თუმცა როგორც სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა, ისე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცალსახად მოწმობს, რომ საქმის განხილვისას სასამართლო მოქმედებს მხოლოდ დამოუკიდებელი დამკვირვებლის ფარგლებში. აღნიშნული პოზიცია განპირობებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი ფუნდამენტური მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის იურიდიული ბუნებით, რაც

გულისმობს, რომ ყოველი მხარე თავადაა ვალდებული, იზრუნოს საკუთარი პოზიციის სწორად წარმოჩენასა და მის მიერ მითითებული გარემოებების მტკიცების ტვირთის რეალიზებაზე.

მსგავსი მიდგომა, გარკვეულწილად, ზიანს აყენებს სასამართლო წესით პირის უფლების დაცვის ხელმისაწვდომობას. დავის სასამართლოში განხილვა მიზნად ისახავს მხარეთა შორის არსებული უთანხმოების მაქსიმალურად სამართლებრივად და სამართლიანად მოგვარებას, შესაბამისად, სასამართლო თავისი კანონიერი ფუნქციის შესასრულებლად მეტად უნდა გააქტიურდეს. სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასამართლო ფრთხილობს კანონით მისთვის დაკისრებული ზემოხსენებული ფუნქციის შესრულებისას და მთლიანად ამოფარებულია მხარეთა შეჯიბრებითობას. მითითებული მსჯელობის მართებულობას ადასტურებს ლიტერატურის მიმოხილვაში მოყვანილი სასამართლო განჩინებები, რომელთა თანახმად საკასაციო პალატამ გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად, რა დროსაც, ერთ შემთხვევაში – პირდაპირ, ხოლო მეორე შემთხვევაში ირიბად მოუწოდა სააპელაციო სასამართლოს, მეტი აქტიურობით ჩაბმულიყო საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევაში. შესაბამისი შეკითხვების დასმის გზით მიმართულება მიეცა პროცესის მონაწილეთათვის იმ მიზნის მისაღწევად, რაც სადავო ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენას უკავშირდება.

აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად, მოცემული კვლევის წინაშე დაისვა იმ მექანიზმის მოძიების საჭიროება, რომელიც სამოქალაქო სამართალწარმოებაში ზემოთ მითითებული პრინციპის მოქმედებას გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში მოახდენს. მითითებული მიზნით, შემუშავდა თეორია, რომლის არსი მდგომარეობს საქმის განხილვის საწყის ეტაპზე სასამართლოსათვის მეტი ინკვიზიციურობის მინიჭებაში.

ამავდროულად, საქმის მომზადების ეტაპზე თავს იჩენს სასამართლოს როლის გააქტიურება მხარეთა მორიგებაზე

მსჯელობისასაც. აღნიშნული საპროცესო შესაძლებლობა გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მეორე ნაწილით. კანონმდებელი იმდენად დაინტერესებულია დავის მშვიდობიანად, მხარეთა შეთანხმების გზით დასრულებით, რომ მოსამართლეს საკმაოდ ფართო დისკრეციით აღჭურავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის შედეგების შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის გამოცდილებათა გაზიარების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესების შეჯერებისა და მხარეთა შეჯიბრებითობასთან დაკავშირებული სხვა მეცნიერთა მსჯელობების საფუძველზე, მოცემული ნაშრომის ფარგლებში ჩამოყალიბდა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის ლეგიტიმური შეზღუდვის თეორია. აღნიშნული თეორიის ფარგლებში უნდა განიმარტოს, რომ სასამართლოს გააჩნია მხარეთა შეჯიბრებითობის (ფართო გაგებით) გარკვეულ შემთხვევებში შეზღუდვის შესაძლებლობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლში განხორციელებულმა ცვლილებამ შეცვალა მანამდე არსებული პირველი ინსტანციის სასამართლოს შესაძლებლობა, სარჩელის შეტანის კანონით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში (მაგ: სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობისას და ა.შ) ხარვეზი დაედგინა მოსარჩელისათვის და მიეცა შესაბამისი გონივრული ვადა მის აღმოსავზვრელად.

ძველი რედაქციის დანაწესით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა წყდებოდა სარჩელის წარდგენის დღიდან და ხარვეზის გამოსწორებისათვის საჭირო დრო მასში აღარ შედიოდა. ცვლილების შედეგად, მოსარჩელის მდგომარეობა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით გაუარესდა. სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმა მისი შეტანის ფორმალური პირობების დარღვევისას ხანდაზმულობის ვადას ვეღარ შეაჩერებს, რადგან

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის ერთ-ერთ წინაპირობად სწორედ სარჩელის წარდგენას უკავშირებს. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ოქტომბრის №ას-182-175-2013 განჩინებიდან, რომლის თანახმად სამოქალაქო კოდექსის 138-140-ე მუხლები ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძვლებსა და ვადებს.

სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის ახალ მექანიზმზე მსჯელობა მით უფრო აქტუალურია, როდესაც ხანდაზმულობის ვადები რიგ დავებზე (მაგ: საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მიხედვით, არსებობს ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა) საკმაოდ მცირეა. თუ ძირითად შემთხვევებში სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმა სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის დროებითი საშუალებაა და მხარეს, მოხელის მიერ მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდეგ კვლავ შეუძლია მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, მცირე სასარჩელო ხანდაზმულობის მქონე დავებზე, ამის შესაძლებლობა მხარეს შეიძლება აღარ მიეცეს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ასეთ დროს სარჩელის რეგისტრაციაზე უარი წარმოადგენს მხარისათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების სამუდამოდ შემზღუდველ ინსტიტუტს კონკრეტულ დასაცავ უფლებასთან მიმართებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284, 285-ე და 249-ე მუხლების ანალიზის შესაბამისად, ასევე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლოს განჩინება გამოაქვს ხარვეზის დადგენის, მხარის შუამდგომლობისა და სხვა საპროცესო საკითხების გამო, გაუმართლებელია, მხარეს უარი ეთქვას სარჩელის რეგისტრაციაზე სასამართლო განჩინების მიღების გარეშე. ამასთან, სასამართლო მოხელის მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმისას მხარე მოკლებულია მეტად მნიშვნელოვან საპროცესო პრივილეგიას, მას არ შეუძლია გაასაჩივროს მისი

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება ან მიიღოს იგი წერილობითი სახით.

აღნიშნულმა ცვლილებამ შეცვალა მანამდე არსებული პირველი ინსტანციის სასამართლოს შესაძლებლობა, სარჩელის შეტანისას მსგავსი დარღვევების არსებობის შემთხვევაში (მაგ: სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობისას და ა.შ.) ხარვეზი დაედგინა მოსარჩელისათვის და მიეცა შესაბამისი გონივრული ვადა მის აღმოსაფხვრელად. ასეთ დროს მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, გამოესწორებინა ხარვეზი, რა დროსაც სასამართლო მიიღებდა მის სარჩელს წარმოებაში.

მითითებული ცვლილებები ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ინგლისურ მოდელს. უნდა აღინიშნოს, შედარებით-სამართლებრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ სასამართლო კანცელარიისა და მოხელის ჩართულობა სარჩელის რეგისტრაციის პროცესში დამახასიათებელია რიგი ევროპის ქვეყნებისთვისაც, თუმცა საქართველოში მისი გადმოტანით მხარეთა მდგომარეობა, მოცემულ ნაშრომში მითითებული მოტივების გამო, გაუარესდა. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო პრობლემების (მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ადვოკატის მომსახურების მიღების შეუძლებლობა, საზოგადოების ფართო მასებში სამართლებრივი განათლების არარსებობა და სხვა) გათვალისწინებით ქართულ სამართლებრივ სივრცეში ამგვარი ნოვაციების დანერგვა ნაადრევა.

საკვლევი საკითხისადმი ერთიანი მიდგომა არ არის არც საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობებშიც.

სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენასთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებისა და მათი სასამართლო განჩინებებში რეალიზაციის ურთიერთშეჯერებით, კანონის განმარტებისა და ემპირიული მეთოდით პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენის

სასამართლოსათვის მიმართვის უფლების განხორციელება მართებულად, ობიექტური აუცილებლობის გამო, იზღუდება იმ ვადით, რა დროც ესაჭიროება მხარეს, შესარულოს სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო მოქმედებები.

სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ხარვეზის სახით მხარეს შეიძლება დაუდგინდეს როგორც ერთი საპროცესო მოქმედების შესრულება, ისე სხვადასხვა სახის ხარვეზების გამოსწორება კუმულატიურად. თუნდაც სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის ხარვეზის დაწესებისას სასამართლო მხარეს ავალებს რამდენიმე პირობის ერთდროულად განხორციელებას, კერძოდ: 1. სასამართლოს მიერ მკაცრად განსაზღვრულ ვადაში საბანკო დაწესებულების მეშვეობით დადგენილი ოდენობით თანხის შეტანას სახელმწიფო ხაზინაში; 2. ამავე ვადაში სახელმწიფო ბაჟის სახით თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის სასამართლოში ჩაბარებას.

ამდენად, საკმარისი არ არის მხოლოდ თანხის შეტანა სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე, მნიშვნელოვანია, აღნიშნული განხორციელდეს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. ინფორმაცია თანხის შეტანის შესახებ სასამართლოს ავტომატურად არ მიეწოდება, შესაბამისად, ქვითრის დროულად წარუდგენლობას მოჰყვება საჩივრის განუხილველად დატოვება და ამოქმედდება ნორმის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივ სანქციას ხარვეზის გამოუსწორებლობისთვის. სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, წარდგენილი დოკუმენტების მიმართ მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლი, რომლის თანახმად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი, 391-ე მუხლის პირველი ნაწილი, 414-ე მუხლის მეორე ნაწილი) განსაზღვრავს სასამართლო

გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს. ასეთი პირები არიან უშუალოდ მხარეები და მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. სასამართლო პრაქტიკაში პრობლემა წარმოიშვა ისეთი პირების მიმართ, რომლებიც ზემოთ დასახელებულ პირთა რიგს არ განეკუთვნებიან და არიან: ა) პირები, რომლებიც კონკრეტულ დავაში არ მონაწილეობენ არანაირი სტატუსით, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი (საუბარია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე კერძოდ და არა ამა თუ იმ დავაზე ზოგადად) უშუალოდ და პირდაპირ შეეხო მათ კანონიერ უფლებებს; ბ) მესამე პირები, რომელთაც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა არ წარუდგენიათ, რომლებიც ასევე, უდავოდ არიან დაინტერესებული საქმის შედეგით. მითითებულ პრობლემაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს როგორც მეცნიერებაში, ისე სასამართლო პრაქტიკაშიც, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში სამართლებრივი პრობლემის გადაჭრა სამოსამართლო სამართალმა ითავა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო საჩივრების წარდგენის საპროცესო შესაძლებლობა ეძლევათ ისეთ პირებსაც, რომლებიც საქმეში რაიმე პროცესუალური სტატუსით არ სარგებლობენ, თუმცა გასაჩივრებული გადაწყვეტილება/განჩინება მათ ინტერესებს უშუალოდ ხელყოფს. მართალია, მითითებული სასამართლო პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს, გააჩნიათ თუ არა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირებს სააპელაციო, საკასაციო, კერძო საჩივრების შეტანის უფლება, თუმცა დასახელებულ საკითხზე მიღებული განჩინებების შეფასების შედეგად დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ გასაჩივრების უფლების არსებობა დამოკიდებულია იმაზე, ეხება თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ასეთ პირთა კანონიერ ინტერესებს.

შესაბამისად, დავას იწვევს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირებისა და ისეთი პირების საკითხი, რომლებიც დავაში ჩაბმულნი არ არიან.

დასკვნის სახით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გასაჩივრება დასაშვებია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ სუბიექტთა მიერ. ამავდროულად, ასეთი უფლება გააჩნია ისეთ პირებსაც, რომლებზეც კანონის დანაწესი პირდაპირ არ უთითებს, თუმცა აშკარაა, რომ ასეთ პირთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი სამართლებრივი შედეგი უშუალოდ შეეხო.

გასაჩივრების უფლების მოპოვება არ არის დამოკიდებული პირის საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმაზე, არამედ უკავშირდება ობიექტურ საჭიროებას, რათა პირს მიეცეს საკუთარი კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, რომელიც სხვაგვარად ვერ დაიცავს თავს მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების უარყოფითი შედეგებისაგან. აღნიშნვას საჭიროებს ის საკითხი, რომ დადასტურდა კვლევის დაწყებისას არსებული ვარაუდი, რომელიც ეხება სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირთა წრის დადგენისას საკანონმდებლო ნორმებში მეტი სიზუსტისა და სიცხადის შეტანის საჭიროებას.

მოცემული კვლევის დასაწყისში გაჩნდა ვარაუდი, რომ კანონისმიერი ვადის აღდგენის დაუშვებლობა ასუსტებს დემოკრატიული პრინციპების განხორციელებას მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, რადგან სამართლებრივ სახელმწიფოდ ითვლება ისეთი ქვეყანა, რომელიც, სხვა ღირებულებებთან ერთად, ზრუნავს საკუთარი კანონმდებლობის ოპტიმიზაციის გზით სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების მაქსიმალურად რეალიზებაზე.

საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე გამოვლინდა, რომ

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები უშვებენ კანონისმიერი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის აღდგენის შესაძლებლობას საპატიო მიზეზის დადასტურების პირობებში, რისი მტკიცების ტვირთი, სავსებით სამართლიანად ეკისრება ვადის გამშვებ მხარეს. მას ევალება არა მხოლოდ ასეთ მიზეზზე მითითება, არამედ შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს საპროცესო მოქმედების დროულად შეუსრულებლობის ობიექტურ სირთულეში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები საკმაოდ მცირეა. ლიტერატურის მიმოხილვისას მიეთითა, რომ თავდაპირველი რედაქციით როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა მეტი იყო და აღნიშნული ნორმების ისტორიულ დინამიკაში განვითარების დაკვირვებით გამოვლინდა, რომ მათი ხანგრძლივობა შემცირდა ერთი თვიდან სააპელაციო საჩივრის შეტანისას 14 დღემდე, ხოლო საკასაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში სამ კვირამდე, ანუ 21 დღემდე. შესაბამისად, მომჩივანი მხარის მდგომარეობა გაუარესდა მოწინააღმდეგე მხარის უფლებათა უკეთ დაცვის პროპორციულად. ნათელია კანონმდებლის მიზანი, დააჩქაროს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის პროცესი, რაც, გარკვეულწილად, ნაკარნახევია პროცესუალური ეკონომიის პრინციპით და ზოგადად სასამართლოში საქმის წარმოების საბოლოო მიზნით, რაც მდგომარეობს, ისევ და ისევ, სასამართლოს გადაწყვეტილების დროულ და ეფექტურ აღსრულებაში.

ნებისმიერ, მეტად რთულ დავაზეც კი, სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შესადგენად პროფესიონალი იურისტისათვის ორი და სამი კვირის ვადა სავსებით საკმარისია, თუმცა როდესაც საუბარია ისეთი სოციალური და ეკონომიკური პლატფორმის მქონე სახელმწიფოზე, როგორც საქართველოა, არ შეიძლება იმ ფაქტის უგულვებლყოფა, რომ ადვოკატის დახმარებით ყოველი მოდავე მხარე ვერ ისარგებლებს.

საყურადღებოა თავად საპროცესო ვადის გამოანგარიშების პროცედურაც. აღნიშნულმა წესმა, ასევე, ცვლილება განიცადა, რაც გახდა წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შესწავლის საგანი.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, ქართული საზოგადოების ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალია და, რიგ შემთხვევებში, რამდენიმე ათას ლარს აღწევს. ყოველი სასამართლო ინსტანციის გავლასთან ერთად მისი ოდენობაც იზრდება.

მოცემულ შემთხვევაში მხარის უფლებას სასამართლო ხელმისაწვდომობაზე უპირისპირდება სახელმწიფოს ინტერესი, ნაწილობრივ მაინც მიიღოს კომპენსაცია სამართალწარმოებისათვის გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად, რისთვისაც კანონით დადგენილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკმარისი არ არის.

კანონმდებელმა შეიმუშავა გარკვეული შეღავათების სისტემა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ, რომელიც ახდენს, ერთი მხრივ, მხარეთა კლასიფიკაციას მათი გადახდისუნარიანობის მიხედვით და, მეორე მხრივ, დავის საგნის შესაბამისად. მხარეთა კლასიფიცირებისას კანონი გამოყოფს პირებს, რომელთაც თავიანთი სოციალური ან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ იქონიონ იმ ოდენობის შემოსავალი, რომელიც საკმარისი იქნება სახელმწიფო ბაჟის დასაფარად. პირობითად ასეთი პირები არიან სრულიად გადახდისუუნარონი. ასევე, დასაშვებია მხარისათვის დროებით გადახდისუუნაროს სტატუსის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სახელმწიფო ბაჟის გადახდისას კიდევ ერთი საშეღავათო პირობების დაწესებით, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას. ასეთ დროს მხარეს საჩივრის წარდგენის მომენტისათვის არ გააჩნია საკმარისი თანხა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად, თუმცა თანხის შეტანის ვალდებულება სასამართლო განჩინებით მხოლოდ გადავადდება საქმის გარკვეულ ეტაპამდე, როგორც წესი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სახელმწიფო ბაჟის გადახდისას საშელავათო პირობების გავრცელება დავის საგნის მიხედვით გულისხმობს მითითებული საპროცესო ვალდებულებისაგან კანონით ზუსტად გათვალისწინებულ კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელეთა გათავისუფლებას.

კანონმდებლის ზემოაღნიშნული მცდელობის მიუხედავად, განესაზღვრა საშელავათო პირობების მიმღები პირების გონივრული და სამართლიანი წრე, სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა ხშირად გადაულახავ წინააღმდეგობად ხდება მხარეთათვის.

მოცემული კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, დასაშვებია თუ არა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა ასეთი მომჩივნებისათვის, როგორც სამოქალაქო უფლების არამართლზომიერად განმახორციელებელი პირებისათვის.

სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენების პრაქტიკას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია და იგი სამართლის წარმოშობისა და მისი განვითარების ფეხდაფეხ ჩაისახა. სამართლის დოქტრინა, კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ერთხმად ცდილობენ იმ მექანიზმებისა და გზების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუშლიან არაკეთილსინდისიერ მხარეს.

აღნიშნულის მიუხედავად, ძალიან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს ამა თუ იმ სარჩელის აღძვრისას მოსარჩელის იმ პირად დასახელება, რომელიც სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას ბოროტად იყენებს. სასამართლოსათვის უცნობია ის პროცესები, რომლებიც სარჩელის სასამართლოში აღძვრას წინ უძღვის. ამდენად, უმრავლეს შემთხვევაში მცდარი შეფასება გაცილებით მეტი ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების საზიანოდ, ვიდრე არაკეთილსინდისიერი მოტივებით შეტანილი სარჩელის განხილვა და კანონიერად გადაწყვეტა.

მოცემული კვლევა შეეხება სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი კუთხით დასახელებული პრობლემის შესწავლას.

სამოქალაქო საპროცესო სივრცეში საკანონმდებლო საშუალებებიდან ყურადსაღებია სახელმწიფო ბაჟის ინსტიტუტი, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დაწესებულია არა მხოლოდ სახელმწიფოს მატერიალური დანახარჯის ნაწილობრივ მაინც ანაზღაურების მიზნით, არამედ იმისთვისაც, რომ მხარე, რომელიც სასამართლოს მიმართავს არა თავისი კანონიერი ინტერესების სასარგებლოდ, არამედ სხვისთვის საზიანოდ, არ იქნას წახალისებული, მეტიც, დაბრკოლდეს იმ მატერიალური სანქციით (ასეც შეიძლება შეფასდეს სახელმწიფო ბაჟის ინსტიტუტი მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი და დოქტრინა პირდაპირ ამგვარ ფორმულირებით არ განმარტავს მას), რომლის გაღებაც დავის წამოწყებით ან შემდგომ, დავის წაგებისას ემუქრება.

მოცემული კუთხით, ასევე, საყურადღებოა წინამდებარე ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვით ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ დანერგილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ პიროვნებას, რომელიც ერთი და იმავე შინაარსისა და სამართლებრივი მოტივების შემცველი განცხადებების სისტემატურად შეტანის გზით კიდევ და კიდევ მოითხოვდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მის საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას.

საქმის წარმოების განახლების შესახებ მოთხოვნის წარდგენის საპროცესო საშუალებას ამოფარებული ასეთი პირი თავის განცხადებას ასაბუთებდა არა ახლად აღმოჩენილი ფაქტით, არამედ, ჯერ კიდევ საქმის წარმოების დასრულებამდე მის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრების საფუძვლებად მითითებული გარემოებებით.

რეკომენდაციები და დასკვნა

- სასამართლო ხელმისაწვდომობის სამოქალაქო საპროცესო უფლების განხორციელების შესახებ ჩატარებული კვლევის

შედეგად შემუშავებული რეკომენდაცია იმაში მდგომარეობს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპთან ერთად უნდა განვითარდეს სასამართლოს, როგორც პროცესის წარმმართველი ორგანოს როლი, რაც ხელს შეუწყობს მხარის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზებას ამ უფლების ფართო გაგებით, რომელიც განიმარტა ნაშრომის კვლევით ნაწილში. აღნიშნული ფუნქციის გააქტიურება მიზანშეწონილია, მეტწილად, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში, რადგან დასახელებული ინსტანციები საქმეს იხილავენ არსებითად, კანონით დადგენილი გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტობრივი გარემოებების დადგენის კუთხით.

ამდენად, მხარეთა შეჯიბრებითობის ლეგიტიმურად შეზღუდვის თეორია უნდა აისახოს არა მხოლოდ სამართლებრივ დოქტრინაში, არამედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების რეალიზების სფეროში – სასამართლო წესით საქმის განხილვისას. მოცემული ნაშრომის კონკრეტული ნაწილი სწორედ აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილებას ისახავდა მიზნად.

მითითებული თეორიის სამართლებრივ სინამდვილეში დანერგვისათვის კანონში რაიმე ცვლილების განხორციელება საჭირო არ არის, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლი ისედაც ითვალისწინებს სათანადო დებულებას. აღნიშნულისათვის აუცილებელია სამეცნიერო კვლევების შედეგების გათვალისწინება პრაქტიკული თვალსაზრისით, სასამართლოს მხრიდან მეტი ჩართულობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტების დადგენის პროცესში 128-ე მუხლით განსაზღვრული მექანიზმების ფარგლებში.

- კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დაუშვებელია პირს შეეზღუდოს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება და მისი წერილობითი პრეტენზია განუხილველად დარჩეს მხოლოდ იმის

გამო, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მიმდინარე დავაში იგი ჩაბმულია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირად ან სულაც არანაირი სტატუსით არ არის ჩაბმული პროცესში. ამოსავალი წერტილი, რომლითაც ასეთი პირის შესაბამისი საჩივრის სამართლებრივი ბედი უნდა გადაწყდეს, არის ის გარემოება, თუ რამდენად შეეხება გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება ამგვარი პირის კანონიერ ინტერესებს. ამგვარი დასკვნა მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებში ცალსახა ასახვას ვერ ვპოვებთ და წარმოადგენს მხოლოდ სამოსამართლო სამართლის ჭრილში შეფასების შედეგს. აღნიშნული კი ხელყოფს მითითებული პირების უფლებას სასამართლო ხელმისაწვდომობაზე.

მოცემული პრობლემის დაძლევისათვის რეკომენდებულია, საკანონმდებლო ცვლილება შევიდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე და 391-ე მუხლებში, რომელთაც, ამავე კოდექსის 414-ე მუხლის მსგავსად, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირთა შორის უნდა დაემატოს დათქმა „აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს გადაწყვეტილება.“ ამ გზით კანონმდებელი თავიდან აიცილებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას დავით დაინტერესებული პირების მიმართ. პირისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ უნდა იყოს დამოკიდებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი სასამართლოს უნარზე, ფართოდ განმართოს კანონის დანაწესები მოცემულ საკითხთან მიმართებით. შესაბამისად, აღნიშნული ნორმები ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი: „სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა, მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, აგრეთვე, იმ პირებმა, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს გადაწყვეტილება, შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილი: „სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა, მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, აგრეთვე, იმ პირებმა, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს გადაწყვეტილება, შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.“

- სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის ამჟამად არსებული პროცედურასთან დაკავშირებული რეკომენდაცია მდგომარეობს სარჩელის მიღების მექანიზმის საკანონმდებლო ცვლილებამდე არსებული პროცედურის მოქმედების აღდგენას, რათა არ მოხდეს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების მოსარჩელეთათვის გაუმართლებელი შეზღუდვა.

- კვლევის პროცესში სხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი პროცედურების შესწავლისას და საქართველოს სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისას გამოვლინდა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და 397-ე მუხლებით დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელების გზაზე აღმართული სერიოზული დაბრკოლება საკმაოდ დიდი რაოდენობის მხარისათვის.

ამავდროულად, მოცემული კვლევის შედეგად გამოვლინდა იმის აუცილებლობა, რომ კანონმდებელმა ზედმიწევნით უზრუნველყოს მხარეთათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება და ნება დართოს, მომჩივანის მიერ საგამონაკლისო და საპატიო მიზეზების არსებობის დადასტურების შემთხვევაში ზემდგომმა სასამართლომ საპატიოდ ჩათვალოს სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შეტანის ვადის დარღვევა.

რალა თქმა უნდა, კანონით დადგენილი ვადების დარღვევის საპატიოდ მიჩნევის პროცესი არ უნდა გახდეს გადაწყვეტილების

კანონიერ ძალაში შესვლის გაჭიანურების საშუალება, თუმცა გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის განმავლობაში მხარისათვის სადავო საპროცესო ვადის გაშვების საპატიო მიზეზის დასაბუთების შესაძლებლობის მიცემა მეტად გამართლებულს გახდიდა იმ პირის მიმართ სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვასა და პრეტენზიის განუხილველად დატოვებას, რომელიც ვადის გაშვების საპატიოობას ვერ დაასაბუთებს.

ერთი თვე სწორედ ის ვადაა, რომელიც გონივრულად შესაძლებლობას მისცემს მომჩივანს, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ. ამასთან, აღნიშნული შუამდგომლობის შეტანამ არ უნდა შეაჩეროს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი. აქვე აღსანიშნავია, რომ სააღსრულებო წარმოებას საკმაოდ დიდი დრო ესაჭიროება, შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ალბათობა მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში საკმაოდ დაბალია.

მხარის ზემოაღნიშნული შუამდგომლობის განხილვისათვის სასამართლოს უნდა განესაზღვროს 10 დღის ვადა, რაც ამ ტიპის საკითხის გადასაწყვეტად სრულიად გონივრული და ადეკვატური იქნება. მიზანშეწონილი იქნება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების გაშვებული საპროცესო ვადის აღდგენაზე მსჯელობისას სასამართლოს მიეცეს შესაძლებლობა, გაითვალისწინოს მომჩივნის პრეტენზიის პერსპექტიულობა დავის მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით, როგორც ეს ხდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას და სამომავლოდ არ ზღუდავს სასამართლოს დავის ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტის პროცესში.

ამდენად, წარმოდგენილი კვლევით დადასტურდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების/განჩინების გასაჩივრების კანონისმიერი ვადის იმპერატიულად დადგენა

პოტენციურად სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას იწვევს. შესაბამისად, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილების გზით ახლებურად ჩამოყალიბდეს 369-ე და 397-ე მუხლები შემდეგი სახით:

„სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი: 1. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში, 14-დღიანი ვადის გასვლიდან 1 თვის განმავლობაში, აპელანტის მიერ ვადის გაშვების საპატიო მიზეზის სარწმუნოდ დამტკიცების გზით და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების შესაბამისად. 2. მხარის შუამდგომლობას სააპელაციო სასამართლო განიხილავს მისი შეტანიდან 10 დღის განმავლობაში. 3. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.“

„სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლი: 1. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე. ამ ვადის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში, 21-დღიანი ვადის გასვლიდან 1 თვის განმავლობაში, კასატორის მიერ ვადის გაშვების საპატიო მიზეზის სარწმუნოდ დამტკიცების გზით და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. 2. მხარის შუამდგომლობას საკასაციო სასამართლო განიხილავს მისი შეტანიდან 10 დღის განმავლობაში. 3. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.“

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლი ამოღებულ იქნას.

ასევე, გამოიკვეთა ზოგადად სამოქალაქო საპროცესო ვადების გამოთვლის დროს ერთიანი მიდგომის გამოყენების პრინციპის დანერგვის მიზანშეწონილობა.

- მოცემული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ არსებობს რეალური და ობიექტური საჭიროება, რათა შეიქმნას უფრო კონკრეტული და ამჟამინდელი საზოგადოების პრობლემებზე მორგებული რეგულაცია, რომელიც სასამართლოსთვისაც და მხარისთვისაც მეტად დაზუსტებულ მოთხოვნებს ჩამოაყალიბებს სახელმწიფო ბაჟის დაკისრებასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში დღეს არსებული მდგომარეობის მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა რიგ შემთხვევებში გაუმართლებლად ხელყოფს იმ პირთა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას, რომელთაც თავიანთი ნამდვილი ქონებრივი მდგომარეობის დადასტურების ბერკეტი არ გააჩნია.

სასამართლო ხარჯების გადაუხდელობის გამო, მხარის პრეტენზიის განუხილველად დატოვების პროცესში სასამართლოსა და კიდევ უფრო ფართოდ დანახული თავად სახელმწიფოს როლი მართლოდენ მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასებით არ უნდა შემოიფარგლოს. უპირველესად, მხარის მიერ გადახდისუუნარობის მიზეზად დასახელებული გარემოების თავისებურებიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა მიანიშნოს აღნიშნული გარემოების არსებობის მტკიცების შესაძლო საპროცესო საშუალებებზე. ამავდროულად, სახელმწიფოს სოციალური ორგანოების მუშაობა მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვების, უმუშევართა რეალური რაოდენობის, პირის დროებითი უმუშევრობის ფაქტის აღრიცხვისა და სხვა სოციალური პარამეტრების მიხედვით, შესაბამისი ინფორმაციის მასშტაბური ბაზების შექმნისაკენ. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება ხელს

შეუწყობს როგორც სახელმწიფოში არსებული რეალური სოციალური სურათის დანახვასა და წამოჭრილი პრობლემების დაძლევის გზების ქმედით მოძიებას, ასევე მოცემული კვლევის მოსალოდნელი შედეგის მიღწევას – სასამართლოში თავისი დარღვეული უფლების დასაცავად მისული მხარის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებული საშეღავათო პირობების გავრცელების გამარტივებას.

სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრებისას საქართველოს კანონმდებლობამ უნდა გაიზიაროს გერმანიის სასამართლოს გამოცდილება და სარეკომენდაციო და არა იმპერატიული საკანონმდებლო რეგულაციის ძალით სასამართლოს შესაძლებლობა მისცეს, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების ეტაპზე, ანუ კონკრეტულ ინსტანციაში საქმის წარმოების დასაწყისშივე შეაფასოს, რამდენად პერსპექტიულია სარჩელსა თუ საჩივარში წარდგენილი მხარის მოთხოვნა, რამდენად მაღალია მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა და წინასწარი ვარაუდის სახით, რომელიც არ შეზღუდავს სასამართლოს მომავალში მისაღები გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით, ურჩიოს მხარეს, არ გასწიოს გაუმართლებელი დანახარჯი სახელმწიფო ბაჟის სახით, თუნდაც ასეთი შესაძლებლობა მიეცეს მომხსენებელ მოსამართლეს, რომელიც სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში დამოუკიდებლად ამოწმებს საჩივრის დასაშვებობას.

ცხადია, საქმის წარმოების პირველივე ეტაპზე ასეთი წინასწარი ვარაუდის გამოთქმა ყველა სასამართლო დავაზე მიზანშეწონილი და შესაძლებელი არ არის. აღნიშნული შესაძლებლობა არსებობს შედარებით მარტივი სამართლებრივი საქმეების შემთხვევაში.

სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით საშეღავათო პირობების გავრცელებისას, ასევე, შეფასებას მოითხოვს თავად დავის არსი. იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც მხარე დავობს მის საკუთრებაში არსებულ ერთადერთ უძრავ ნივთზე იპოთეკის გაუქმების შესახებ, ან გააჩნია სოლიდური დავალიანება,

სესხი, შეუსრულებელი ვალდებულება მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, რაც ქმნის შინაგან რწმენას მხარისათვის საშელავათო პირობების მინიჭებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში ამგვარი შეფასების ფაქტები მწირია. ასეთის არსებობის შემთხვევაში, როგორც წესი, სასამართლო თავს არიდებს საკუთარი მოსაზრების პირდაპირ მითითებას. შესაბამისად, საჭიროა გარკვეული რეგულაციის შემუშავება (მაგალითად „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში) აღნიშნული კუთხითაც, რათა სასამართლოს მეტი თავისუფლება მიეცეს სახელმწიფოსათვის ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტის თაობაზე მსჯელობისას (მისი გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლებისას, ან სხვა საშელავათო პირობების გავრცელებისას), როგორცაა სახელმწიფო ბაჟი.

ზემოაღნიშნული მიზნით რეკომენდებულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლს დაემატოს ¹ ნაწილი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სასამართლო უფლებამოსილია, გაათავისუფლოს მხარე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, თუ საქმის სირთულის გათვალისწინებით შესაძლებლად ჩათვლის სარჩელის, სააპელაციო ან საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემოწმების სტადიაზე განსაზღვროს, რომ სარჩელს/სააპელაციო, საკასაციო საჩივრებს გააჩნიათ დაკმაყოფილების მაღალი სამართლებრივი პერსპექტივა. აღნიშნული საფუძველით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მხარის გათავისუფლება არ ზღუდავს სასამართლოს დავის გადაწყვეტის სამომავლო შედეგთან მიმართებით.“

- სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სამოქალაქო საქმის წარმოებისას, რიგ შემთხვევებში, ფიქსირდება სასამართლოსათვის მიმართვის სამოქალაქო საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები.

მიზანშეწონილია, როგორც ევროსასამართლოს, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების გაზიარების გზით სამოქალაქო საპროცესო სამართალში დამკვიდრდეს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის კიდევ ერთი მექანიზმი, რომელიც აისახება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაშიც, კერძოდ, 275-ე მუხლს დაემატოს მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსით: „სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სარჩელი, თუ სარჩელის შინაარსიდან და მოსარჩელის განმარტებიდან ნათლად ირკვევა, რომ სარჩელის აღძვრა არ ემსახურება სადავოდ ქცეული უფლების დაცვას და წარმოადგენს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებას.“

სააკველაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები სააკველაციო და საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემოწმებისას, საჭიროების შემთხვევაში, ანუ მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ სააკველაციო და საკასაციო საჩივარი შეტანილია ზემოხსენებული უფლების ბოტორად გამოყენებით, შეძლებენ 399-ე და 372-ე მუხლების საფუძველზე იხელმძღვანელონ 275-ე მუხლის მითითებული მესამე ნაწილით.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

IRINE ROKVA

**Access to the Court: Civil Procedure Right and The Framework of Its
Limitation**

Educational programme: Law

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

Abstract

Tbilisi

2023

32

Grigol Robakidze University

Scientific supervisor: Valerian Khrustali,

Doctor of Law, Professor

The date of defence will be published on the website of university:

www.gruni.edu.ge

The defence of the dissertation will take place at Grigol Robakidze University, at the session of the Certifying Committee of Experts of the School of Law.

The dissertation is available at the library of Grigol Robakidze University, Tbilisi, Irina Enukidze №3 (David Agmashenebeli Alley 13)

Table of Contents

Introduction -----	35
REVIEW OF SCIENTIFIC LITERATURE, THEORETICAL AND PRACTICAL CONTEXT OF THE STUDY -----	38
METHODOLOGY, DESCRIPTION AND RESULTS OF THE STUDY -	42
JUDGING AND SCIENTIFIC FINDINGS -----	42
RECOMMENDATIONS AND CONCLUSION -----	51

Introduction

